ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №28
2028 წლის 30 დეკემბერი

ქ. ხობი

„ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31.10.2017 წ., სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.106.016253) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის „კ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ.ა) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით იდენტიფიცირებული (რეგისტრირებული) შინაური ცხოველის ადგილწარმოშობის შესახებ;“;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ.ა^{1}“ ქვეპუნქტი:

„კ.ა^{1}) ხე-ტყის ან/და მცენარეების ადგილწარმოშობის შესახებ;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხობის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გოჩა ქაჯაია**